

“ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის
ხელშეწყობისათვის”

პროექტის ანგარიში



საქართველოს ბავშვები
Children of Georgia

თებერვალი 2016

შესავალი

აღნიშნული ანგარიში ასახავს პროექტის ფარგლებში შესრულებულ აქტივობებს 2013 წლიდან 2016 წლის თებერვლის ჩათვლით.

პროექტის შედეგად:

- შემცირდა ბენეფიციარების რაოდენობა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში 71 იდან 55 მდე.
- დაიხურა სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი.
- მომზადდა 191 სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის.
- 110 ოჯახში მცხოვრებ 126 ბავშვს გაეწია დახმარება - მშობლებთან დაშორების/მიტოვებისა და სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით.
- გაეწია დახმარება 178 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მშობელს ადვოკატირებისა და მოვლის/აღზრდის უნარების გაძლიერებაში.

პროექტის აქტივობები:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დეინსტიტუციონლიზაციის ხელშეწყობა

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარების ოჯახურ გარემოში გადაყვანის ხელშეწყობა. ამ მიზნით დაგიგეგმა შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან რათა შეთანხმებულიყო ბავშვების ტრანზიციის დეტალები.

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან კონსულტირებით დაიგეგმა ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარების დეტალური შეფასება.

ჩვილ ბავშვთა სახლი ბენეფიციარების დეტალური შეფასება პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2013 და 2016 წლებში. პირველი შეფასების დროს შეფასდა 71, მეორეს დროს კი 56 ბავშვი. მეორე შეფასება დასრულდა 2016 წლის თებერვალში. პროცესში მონაწილეობას ლეზულობდნენ „საქართველოს ბავშვების“ პედიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური და სენსორული თერაპევტები. ორივე შეფასების დროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ აღმოჩენილი იქნება შეფასებისათვის საჭირო მხარდაჭერა.

პირველ შეფასებაში ჩაერთო 71 ბავშვი. გამოიკვეთა 4 სავარაუდო განთავსების ტიპი საჭირო მომსახურებების მიხედვით:

1. ტიპური ოჯახური გარემო - შესაძლოა იყოს გრძელვადიანი მინდობით აღზრდა ან ბიოლოგიური ოჯახი. 13 ბავშვი
2. სპეციალიზებული მინდობით აღზრდა - შესაძლოა იყოს ბიოლოგიური მშობელი ან სპეციალურად მომზადებული აღმზრდელი, რომლისთვისაც მომზადების გარდა ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი მომსახურებები - ადრეული ჩარევა, დღის ცენტრი შშმ ბავშვებისათვის, სარეაბილიტაციო მომსახურება და სხვა რაც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. 26 ბავშვი.
3. ოჯახური გარემო ინტენსიური / პალიატიური ზრუნვა (Nursery care) - შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კარგად აღჭურვილ გარემოში სპეციალურად მომზადებული აღმზრდელების / ექთნების ზედამხედველობით. 27 ბავშვი.
4. პალიატიური მკურნალობა / ჰოსპისი (Hospice) - შესაძლებელია განხორციელდეს სამედიცინო ლიცენზიის მქონე დაწესებულებაში, რომელსაც აქვს ჰოსპისისა და პალიატიური მკურნალობის პროფილი. 5 ბავშვი.

გაეროს ბავშვთა ფონდსა და სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ წარმოადგენლები ჩართულები იყვნენ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლისა და სენაკის შშმ ბავშვთა ახლების პერსონალის შერჩევაში. ორგანიზაციის ჩართულობის ინტერესს წარმოადგენდა პოტენციური მინდობით აღმზრდელების გამოვლენა. გასაუბრების დროს კანდიდატებისათვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია მინდობით აღზრდის შესახებ.

ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვთა შედინების და გადინების ანალიზმა აჩვენა, რომ შედინება შემცირებული იყო მინდობით აღზრდის ხარჯზე და საშუაოდ შეადგენდა წელიწადში 6-8 ბავშვს.

2014 წლის ზაფხულში „საქართველოს ბავშვების“ მიერ მომზადდა სიტუაციური ანალიზი სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა ადვოკატირების შეხვედრა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დახურვის დასაჩქარებლად. სიტუაციური ანალიზის კუთხით შესწავლილ იქნა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბენეფიციარების

განაწილება და რაოდენობები, კერძოდ: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი - 53 ბენეფიციარი; სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი - 14 ბენეფიციარი; კოჯორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი - 21 ბენეფიციარი; სპეციალიზებული მინდობით აღზრდა 156 ბენეფიციარი. „საქართველოს ბავშვების“ მიერ დაიწყო „საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ წევრი არასამთავრობო, მომსახურების გამწევი ორგანიზაციების, მობილიზება, რათა განვითარებულიყო სპეციალიზებული მცირე საოჯახო ტიპის სახლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

„საქართველოს ბავშვების“ მიერ მომზადებული მინდობით აღზრდის მომსახურებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა 2014 წლის დეკემბერში სენაკის დაწესებულების დახურვა.

პროექტის გუნდის წევრები მონაწილეობდნენ ადრეული განვითარების კოალიციის ფორმირებაში და ესწრებოდნენ შეხვედრებს სადაც ხდებოდა სტანდარტისა და პროცედურების განხილვა. პროექტის ხელშეწყობით დაინერგა შეზღუდული შესაძლებლობისა და განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის გაწეული დახმარების შემთხვევის მართვის მეთოდოლოგია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობისათვის „საქართველოს ბავშვებმა“ 2014 წლის ოქტომბერში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან შეთანხმებით ორგანიზება გაუკეთა

თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლისა და კოჯორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლის აღმზრდელების ტრენინგებს. ძირითადი აქცენტები ტრენინგის დროს გაკეთდა ოჯახური და ინდივიდუალური ზრუნვის ძლიერ მხარეებზე და ასევე ბავშვზე ზრუნვის ძირითად ასპექტებზე.



საქართველოს ბავშვების ინიციატივით, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა მუშა ჯგუფი ჩვილ ბავშვთა სახლის სრული დეინსტიტუციონალიზაციისათვის მეთოდოლოგიის შესაქმნელად და ასევე საჭირო რესურსების მოსაძიებლად.

სააგენტომ „საქართველოს ბავშვების“ რეკომენდაციით 2014 წლის დასაწყისში შეკრიბა სამეთვალყურეო საბჭო რომელშიც შედიოდნენ: გაეროს ბავშვთა ფონდი, ამერიკის განვითარების სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, პირველი ნაბიჯი, „საქართველოს ბავშვები“, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები და პირები.

საქართველოს ბავშვების ინიციატივით მომზადდა ალტერნატიული მომსახურებების კონცეფცია და განფასება (დანართი 2,3).

მასალა ასახავდა საექთნო ზრუნვის მოდელს იმ ბავშვებისათვის ვისი განთავსებაც ტიპიურ ოჯახურ ან სპეციალიზებულ გარემოში ვერ ხერხდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. გარდა ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაციისა სააგენტოს ქონდა სურვილი რომ დახურულიყო დარჩენილი ორი დაწესებულებაც (სენაკისა და კოჯორის შშმ ბავშვთა სახლები). შესაბამისად სააგენტოს ასევე მიუწოდა კონცეფციის დოკუმენტი შშმ ბავშვების მცირე საოჯახო სახლების მოდელთან დაკავშირებით.

პროექტის პერიოდში „საქართველოს ბავშვების“ პერსონალი მონაწილეობდა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტთან სამუშაო შეხვედრებში, რომლის თემებიც იყო ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დახვეწა, სახელმწიფო ალტერნატიულ ზრუნვაში მოთავსებული ბავშვების საქმეების წარმოების პროცედურების დახვეწა, მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის კანონმდებლობების დახვეწა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მომართვების საფუძველზე დახმარება აღმოეჩინათ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს 110 ოჯახში. პრევენცია-რეინტეგრაციის ქეისები: სულ 126 ბავშვი.

ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის“ მუშაობაში. კოალიციის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა საკანონმდებლო და აღმასრულებელი მთავრობის წარმომადგენლებთან. განხილულ თემებში შედიოდა ჩვილების დეინსტიტუციონალიზაციის საკანონმდებლო

საკითხები, კერძოდ კი რეკომენდაციები მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარება




ასევე გადაუდებელი მინდობით აღზრდის მომსახურების შეფასების მიზნით ჩატარდა ბოლო წლების შემთხვევების დეტალური ანალიზი. კვლევის შედეგები თან ერთვის ანგარიშს (დანართი 1).

შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა

დენსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობისათვის ჩატარდა სპეციალიზებული მინდობით აღზრდელების მომზადება. სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით შეირჩა გადამზადდა 191 მინდობით აღზრდელი. სატრენინგო პროგრამა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: შშმ ბავშვზე ზრუნვის მომსახურების ფორმები, დამხმარე სერვისები; მომზადება შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსებისათვის; ძალადობისგან დაცვა; ბავშვის განვითარების დარღვევები; შშმ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და მათი მართვა; ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელობა შშმ ბავშვთან მუშაობის პროცესში; თვით-მომსახურების უნარების განვითარება; მოტორული უნარების განვითარებაზე მუშაობა; ხელში ჭერა და ტარება; სწორი პოზა და დამხმარე საშუალებები; ქცევის მართვა.

ტრენინგები ტარდებოდა 4 სპეციალისტის მიერ: 2 ფსიქოლოგი, 1 ექიმი, 1 ოკუპაციური თერაპევტი.





ტრენინგების პირველ სატრენინგო დღეს ტრენინგში მონაწილეობას ღებულობდა რეგიონული ცენტრის სოციალური მუშაკი, რითიც უზრუნველყოფილი იყო დარეგისტრირების შემდგომ მინდობით აღმზრდელებისათვის წამოჭრილი სირთულეებისა და სხვა აქტუალური საკითხების ერთობლივი განხილვა და მოგვარების გზების დასახვა. გარდა

ამისა პროექტის გუნდის მიერ მოხდა კონკრეტული შემთხვევების განხილვა და ადვოკატირება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მომზადებული აღმზრდელებს გაეწიათ რეკომენდაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ და ტერიტორიულ (ვაკე-საბურთალოს ტერიტორიული ერთეული იყო პასუხისმგებელი ჩვილ ბავშვთა სახლის შემთხვევების მართვაზე) ერთეულებში რათა მომხდარიყო ბავშვების გამოყვანა ბავშვთა სახლიდან ოჯახურ გარემოში.



ასევე საქართველოს ბავშვების ოჯახის მხარდამჭერი გუნდის წევრები ჩართული იყვნენ მინდობით აღზრდაში ბავშვის გადაყვანისათვის მომზადებაში და სოციალური მუშაკის მომართვის საფუძველზე ერთვებოდნენ ბავშვისა და აღმზრდელის შეთავსების პროცესში, სადაც ფასილიტირებას უწევდნენ პროცესს, ბავშვისათვის, გადაყვანასთან დაკავშირებული შესაძლო ტრავმის შემცირების მიზნით.

მშობელთა ჯგუფებთან მუშაობა და ადვოკატირება



ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ თანამშრომლების ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები მშობლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე: როგორცაა ბავშვთა ადრეული განვითარება, ინკლუზია და

სკოლამდელი განათლება, ბავშვთა დენსტიტუციონალიზაცია, ალტერნატიული და მხარდაჭერი მომსახურებების განვითარება და სხვა. მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა მშობელთა გაძლიერება და მხარდაჭერა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა მშობელთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრებზე განხილული იყო მშობელთა როლის წამოწევა ადვოკატირებისა და დამხმარე მომსახურებების განვითარების პროცესებში. ასევე დისკუსიის თემებში შედიოდა ყველა ის საკითხი, რაც აქტუალური და საინტერესო იყო მშობელთათვის. შეხვედრების შედეგად განისაზღვრა მშობელთა ჯგუფის მიზნები და გამოიყო მომავალი თანამშრომლობისა და შეხვედრების საინტერესო სფეროები.

პროექტის ფარგლებში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 178 მშობელმა თბილისსა და რეგიონებიდან.

მშობლებს ასევე გაეწიათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მათი პრობლემის აღქმის, მიმღებლობის, ადაპტაციის სირთულეებთან გასამკლავებლად.

მუშაობის მეთოდოლოგია ეფუძნებოდა რაციონალურ ემოციურ ქცევით თერაპიის შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ირაციონალური ხედვების, დამოკიდებულებების ცვლილება;
- აზროვნებაში დაშვებული შეცდომები;
- აზრების/ფიქრების გავლენა მოქმედებებზე;
- არასწორი ფიქრების/დამოკიდებულების შეცვლის ხერხები.
- სტიგმასთან გამკლავება;
- რაციონალური დიალოგი საკუთარ თავთან;
- ემოციების რაციონალურად მართვის უნარის გამომუშავება.

შეხვედრებზე განხილულ ასევე იქნა შემდეგი საკითხები:

- ადრეული განვითარების პროგრამაში მონაწილეობა სახელმწიფო ვაუჩერით. პროგრამის მიღმა დაჩენილი ბავშვებისათვის ადრეული განვითარების მომსახურების მიწოდება, შეხვედრები სახელმწიფოსა და დონორ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- არსებული სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო მომსახურებების ხელმისაწვდომობის საკითხები. მომზადდა ერთობლივი წერილობითი რეკომენდაციების სახელმწიფოსათვის.
- მშობელთა მხარდამჭერი ცენტრების შექმნისა და განვითარების საკითხები. მათ შორის, ოჯახზე დაფუძნებული მშობელთა სერვისი ტერიტორიული ნიშნით,
- მშობელთა ჯგუფის ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების მომზადება



„საქართველოს ბავშვებმა“ 2014 წლის მაისში ორგანიზება გაუკეთა ევროპელი ექსპერტების ვიზიტსა და მუშაობას. ექსპერტებმა Ton Lebbink, Saskia Sliepenbeek (TBK Fund) ჰოლანდიდან და Ilonka van der Sommen (Fontys university , Autism Partnership) ბელგიიდან ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები და ტრენინგი გონებრივი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის.

აქტივობები წინასწარ შეთანხმებული იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების დეპარტამენტის წარმომადგენელთან, რათა პროცესში ჩართულიყვნენ სამინისტროს პროფესიონალებიც. აქტივობები თანა დაფინანსებული იყო TBK Project Fund-ის მიერ.

შეხვედრებში და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ორგანიზაციების/დაწესებულებების თანამშრომლები: „საქართველოს ბავშვები“, „პირველი ნაბიჯი საქართველო“, ნეიროგანვითარების ცენტრი, აუტიზმის ცენტრი, „სოკო“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, მე-60 და 166-ე სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე სპეციალისტები - სულ 22 სპეციალისტი.



2014 წლის აპრილში საქართველოს ბავშვებმა მოიწვია ევროპაში მოღვაწე ექსპერტი გონებრივი განვითარების შეფერების მქონე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დაიგეგმა მოწვეული ექსპერტის ჩართულობა ადგილობრივი ბავშვებთან მომუშავე პერსონალის უნარების გაძლიერებაში.

ჩატარებული ღონისძიებები მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე სპეციალისტების ტრენინგსა და სუპერვიზიას. ტრენინგების ძირითადი თემები ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის; ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის დაგეგმვასა და წარმართვაში; სექსუალური განათლების საკითხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე



პირებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის. აქტივობები ერთობლივად განხორციელდა მოწვეული და საქართველოს ბავშვების პერსონალის მიერ. პროექტის გუნდმა ასევე გაუკეთა აღნიშნულ აქტივობას ტექნიკური მხარდაჭერა და ფასილიტირება. ტრენინგებისა და სუპერვიზიის პროცესში სულ მონაწილეობა მიიღო დღის ცენტრების, მცირე საოჯახო სახლების, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებისა (ხელი ხელს, სტუდია ADC,

პირველი ნაბიჯი საქართველო, კავშირი ია, საქართველოს კარიტასი, მშობელთა ხიდი) და სახელმწიფო მომსახურებების 126-მა სპეციალისტმა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე

ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მომზადდა რეკომენდაციები, რჩევები და სტატიები საზოგადოებისათვის აქტუალურ ფსიქოლოგიურ თემებზე. მასალა განკუთვნილია მშობლებისათვის და ასახავს ბავშვებთან, მათ შორის შშმ ბავშვებთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ/ქცევით სიძნელეებსა და მათი დაძლევის გზებს. ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნეიროფსიქოლოგის მიერ შეიქმნა სხვადასხვა უნარების განმავითარებელი აქტივობები ბავშვის განვითარების ცალკეული სფეროსთვის. ინფორმაციის გაზიარება მოხდა

სოციალურ ქსელში, კერძოდ, ორგანიზაციის ვებ-გვერდით, facebook გვერდით. ასევე, ორგანიზაციასთან მოხდა შეთანხმება ელექტრონული პორტალის edu.aris.ge წარმომადგენლების მხრიდან, რის შემდეგაც მათაც გაავრცელეს აღნიშნული მასალა. ასევე „საქართველოს ბავშვების“ წარმომადგენლები

საქართველოს ბავშვები
Children of Georgia

„საქართველოს ბავშვები“ არის პროფესიონალ ფსიქოლოგთა ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს. ორგანიზაციის მიზანია, უზრუნველყოს ყველა ბავშვის განვითარების უზრუნველყოფა და მათი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და პროფესიული განვითარება.


საინტერესო სტატიები "საქართველოს ბავშვებისაგან"

- კითხვის უნარის დარღვევა
- სწრაფი აღქმის განვითარება
- აზროვნებისა და მეტაკოგნიციის განვითარება
- თვალისა და ხელის კოორდინაციის განვითარება
- ბავშვისთვის ბოდიშის მოხდის მნიშვნელობა
- მომზადება საბავშვო ნაღისთვის
- ვიზუალური აღქმის განვითარება
- მამების მონაწილეობის მნიშვნელობა ბავშვის აღზრდის პროცესში

პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ მრავალრიცხოვან მედია სიუჟეტებსა და გადაცემებში სადაც მოხდა ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის შეზღუდული შესაზლებლობების მქონე ბავშვთა საკითხებზე.

დანართი 1.

გადაუდებელი მინდობითი აღზრდის კვლევა საქართველოში



მარტი, 2013წ.

შესავალი

მინდობით აღზრდა ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმას წარმოადგენს, რაც სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას გულისხმობს.

გადაუდებელი მინდობით აღზრდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს 2011 წლიდან. გადაუდებელი მინდობით აღზრდა მოიაზრება ბავშვების ინსტიტუციებში შედინების ერთ-ერთ ეფექტურ პრევენციულ მექანიზმად და შესაბამისად, აღნიშნული მომსახურების განვითარება/გაუმჯობესება ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

გადაუდებელი მინდობით აღზრდელების მოზიდვაში, შერჩევასა და მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“. გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაცია დახმარებას უწევდა მიმღებ ოჯახებს ბავშვის განთავსებისათვის საჭირო ინვენტარითა და ნივთებით მომარაგებაში. ასევე, პერიოდულად ხდებოდა მინდობით აღზრდელებისგან ინფორმაციის მიღება მათ ოჯახებში ბავშვების განთავსების საკითხებთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის სამუშაო გამოცდილების მანძილზე გამოიკვეთა მომსახურებაში სისტემურ დონეზე არსებული გარკვეული ხარვეზები, შესაბამისად, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა მინდობით აღზრდის მთვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაწავლას.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ის მინდობითი აღზრდელები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ გადაუდებელ მინდობით აღზრდელებად, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გადაუდებელის პარალელურად დარეგისტრირებულნი იყვნენ რეგულარულ/გრძელვადიან მიმღებ მშობლებად.

მინდობით აღზრდელების გარდა კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ის ბავშვები, რომლებიც მოხვდნენ გადაუდებელ მინდობით აღზრდაში.

კვლევის მეთოდი

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით მოპოვებულ იქნა ინფორმაცია გადაუდებელ მინდობით აღმზრდელად საქართველოს მასშტაბით დარეგისტრირებული მიმღები მშობლების შესახებ.

„საქართველოს ბავშვების“ წარმომადგენლების მხრიდან მოხდა სატელეფონო დაკავშირება აღნიშნულ მინდობით აღმზრდელებთან ინფორმაციის მიღების მიზნით. თავდაპირველად მოხდა გადამოწმება, ბაზაში წარმოდგენილი მიმღები მშობლები ნამდვილად იყვნენ თუ არა დარეგისტრირებულნი გადაუდებელ მინდობით აღმზრდელებად. უნდა აღინიშნოს, რომ გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც კონკრეტული მინდობით აღმზრდელები ბაზის მიხედვით დარეგისტრირებულნი იყვნენ გადაუდებელ მინდობით აღმზრდელებად, რასაც თავად მიმღები მშობლები არ ადასტურებდნენ. შესაბამისად, კვლევისათვის შეირჩა მხოლოდ ის აღმზრდელები, რომლებმაც დაადასტურეს გადაუდებელ მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის ფაქტი.

კვლევის ძირითად ცვლადებს წარმოადგენდა:

- დარეგისტრირებული გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების რაოდენობრივი განაწილება ტერიტორიული ნიშნით
- გადაუდებელ მინდობით აღზრდაში შესული ბენეფიციარების რაოდენობა
- გადაუდებელ მინდობით აღზრდაში შესული ბენეფიციარების ასაკი
- გადაუდებელ მინდობით აღზრდაში შესული ბენეფიციარების ჯანმრთელობის სტატუსი
- გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან ბენეფიციარების გადინება
- დარეგისტრირებულ გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების დატვირთვა
- დარეგისტრირებული გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების მზაობა ბენეფიციარების მისაღებად


მოპოვებული ინფორმაცია შეტანილი და დამუშავებულ იქნა Microsoft Excel პროგრამის გამოყენებით.

კვლევის შედეგები


გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების განაწილება ტერიტორიული ნიშნით

კვლევის ფარგლებში სულ გამოკვლეული იქნა 130 მინდობით აღმზრდელი, რომლებსაც რეგისტრაცია გადაუდებელ მინდობით აღმზრდელებად გავლილი ჰქონდათ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოში.

დარეგისტრირებულ გადაუდებელ მინდობით აღმზრდელთა ყველაზე დიდი რაოდენობა ფიქსირდება თბილისში და მთელი ოდენობის ნახევარს აღემატება.




თბილისში რეგისტრირებულ აღმზრდელთა რიცხვი თითქმის თანაბარია 3 რაიონში: გლდან-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ისანი-სამგორის რაიონში.



გადაუდებელი მინდობითი აღზრდის ბენეფიციარები

გამოკვლევულ მიმღებ ოჯახებში გადაუდებელ მინდობით აღზრდაში მოხვედრილი ბენეფიციარების საერთო რაოდენობამ შეადგინა 255. აქედან, 11 მათგანს აქვს შშმ სტატუსი. ბენეფიციართა ნახევარი 2 წლამდე ასაკისაა.




ბენეფიციარების გადინება გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან

გადაუდებელ მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსების მაქსიმალური ვადა 3 თვეს შეადგენს. გადაუდებელ მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსება ერთის მხრივ ბავშვის ინსტიტუციაში მოხვედრის პრევენციას ახდენს, მეორეს მხრივ კი, სოციალურ მუშაკებს აძლევს დროს რათა მათი მხრიდან წარიმართოს მუშაობა საუკეთესო შემთხვევაში ბენეფიციარის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მიმართულებით, ხოლო როდესაც რეინტეგრაცია შეუძლებელი და/ან არამიზანშეწონილია, ალტერნატიული გრძელვადიანი განთავსების მიმართულებით.

როგორც კვლევა აჩვენებს, შემთხვევათა თითქმის ნახევარში გადაუდებელ მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვი 3 თვის გასვლის შემდეგაც რჩება იმავე მიმღებ ოჯახში გარკვეული დროის მანძილზე, ისე რომ, გადაუდებელი მინდობით აღზრდელის კონტრაქტი იცვლება რეგულარული მინდობით აღზრდელის კონტრაქტით. თანაბარი სიხშირიდ გვხვდება გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციისა და სხვა რეგულარულ მიმღებ ოჯახში გადაყვანის შემთხვევები. შემთხვევათა სიხშირის მიხედვით შემდეგ ადგილზეა გაშვილება. მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელი მინდობით აღზრდის მთავარი პრინციპია ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია, რეალობა გვიჩვენებს, რომ არის შემთხვევებიც, როცა ბენეფიციარი სწორედ გადაუდებელი მინდობითი აღზრდის შემდეგ ხვდება ინსტიტუციაში.

სად გადადიან ბავშვები გადაუდებელი მინდობითი აღზრდიდან




გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების დატვირთვა და არსებული რესურსი

გამოკითხული მინდობითი აღმზრდელებიდან 34-ს არ ჰქონია ბავშვის გადაუდებელ მინდობით აღზრდაში მიღების გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ დარეგისტრირებულნი გადაუდებელ მინდობით აღმზრდელებად. მათ შორის 16 აღმზრდელის ოჯახში საერთოდ არ ყოფილა ბენეფიციარი განთავსებული, არც გადაუდებელ და არც გრძელვადიან მინდობით აღზრდაში, 18-ს კი ყავდა მხოლოდ გრძელვადიანში. აღმზრდელთა უმრავლესობა, რომლებსაც არ ჰქონდათ ბავშვის მიღების გამოცდილება (13), იყო დატრენინგებული „საქართველოს ბავშვების“ მიერ. მათი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ არ ჰქონიათ შეთავაზება ბავშვის მიღების თაობაზე სოციალური მუშაკების მხრიდან და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

95 ოჯახს ჰქონდა ერთი ან მეტი ბენეფიციარის გადაუდებელ მინდობით აღზრდაში მიღების გამოცდილება. ამათგან, 54 მიმღებ მშობელს ჰქონდა გადაუდებელი მინდობით აღმზრდელის კონტრაქტის რეგულარული მინდობით აღმზრდელის კონტრაქტით შეცვლის გამოცდილება. ეს იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც 3 თვის ვადაში ვერ ხდებოდა ბენეფიციარის რეინტეგრაცია/გაშვილება. (ინფორმაცია ვერ იქნა მიღებული ერთი აღმზრდელის შესახებ).

ცალკეულ მიმღებ ოჯახში მოხვედრილი ბავშვების ჯამური რიცხვი (გადაუდებელი მინდობით აღზრდაში და/ან რეგულარული მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების რაოდენობა) ვარირებს 1-დან 13-მდე.



გამოკითხულ მინდობით აღზრდელთაგან ახალი ბენეფიციარის მიღების სურვილი გამოთქვა 81-მა მიმღებმა მშობელმა (ამათგან 12-ს საერთოდ არ ყოლია ბავშვი მინდობით აღზრდაში).

13 მინდობით აღზრდელს გაუუქმდა მიმღები მშობლის სტატუსი რეგისტრაციის ვადის გასვლის, ან სხვა მიზეზის გამო (ამათგან 3 აპირებს ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია). 2 აღზრდელის შემთხვევაში გადაუდებლის პოზიციაზე რეგისტრაცია გაუქმდა და დარჩნენ მხოლოდ რეგულარულის პოზიციაზე.

გამოკითხულთაგან დანარჩენი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ვეღარ მიიღებს სხვა ბავშვს მიმდინარე დატვირთვის ან ოჯახური მიზეზების გამო.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ გადაუდებელი მინდობით აღზრდის მომსახურება წარმატებით მუშაობს ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის

პრევენციის მიმართულებით. ბენეფიციარების ასაკი მიუთითებს ჩვილი ბავშვებისათვის მომსახურების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულ შედეგთან შესაბამისობაში მოდის „საქართველოს ბავშვების“ მიერ მიმღები მშობლებისათვის შემუშავებული ტრენინგ-პაკეტის ფოკუსირება 0-2 წლის ასაკის ბავშვებზე.

ის გარემოება, რომ მომსახურებაში მოხვედრილი ბენეფიციარების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სტატუსი, ისევე როგორც ინსტიტუციებში შშმ ბავშვთა საკმაოდ დიდი რიცხვი, ადასტურებს იმას, რომ გადაუდებელი მინდობითი აღზრდა ამ დროისათვის ვერ უზრუნველყოფს შშმ ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის პრევენციას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას.

დარეგისტრირებული მინდობით აღზრდელების არათანაბარი დატვირთვა, მიმღები ოჯახების ნაწილში ბენეფიციარის განთავსების პრევენდენტის არ არსებობა მოწმობს ქვეყანაში არსებული გადაუდებელი მინდობითი აღზრდელების რესურსის არაეფექტურ გამოყენებაზე.

ის, რომ ხშირ შემთხვევაში გადაუდებელი მინდობითი აღზრდიდან ბენეფიციარების გადინება კი არ ხდება, არამედ ბავშვი რჩება იმავე მიმღებ ოჯახში რეგულარულ მინდობით აღზრდაში, შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ 3 თვიანი დროის ინტერვალი არ არის საკმარისი ბავშვის რეინტეგრაციისათვის/გაშვილებისათვის საჭირო პროცედურებისათვის.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი რეკომენდაციები სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის:

- არსებული ბაზის გადასინჯვა და შესწორებების შეტანა
- ბაზის რეგულარული განახლება
- 6 თვეში ერთხელ მინდობით აღზრდელებთან ინფორმაციის გადამოწმება
- განთავსებისას პრიორიტეტის მინიჭება დატრენინგებული და აღჭურვილი აღზრდელებისთვის ან რიგითობის გათვალისწინებით
- შეძლებისდაგვარად ყველა გადაუდებლად დარეგისტრირებული აღზრდელის ოჯახში ბავშვის განთავსების უზრუნველყოფა
- ბავშვების შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილება მიმღებ ოჯახებში
- მუშაობის გააქტიურება შშმ ბავშვების მინდობით აღზრდაში განთავსებისთვის

კვლევის ანგარიში წარედგინება სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს/პირებს.

რადგანაც ჩვილ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შედეგიანი სერვისები „საქართველოს ბავშვები“ მომავალშიც გეგმავს ანალოგიური კვლევების ჩატარებას 6 თვიანი დროის ინტერვალით ქვეყანაში არსებული გადაუდებელი მინდობითი აღზრდის მომსახურების ეფექტურობის შესწავლის მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობის ჩვილების შესახებ კონცეფციის მომზადება

მიმოხილვა

გრძელვადიანი მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების და მათი მშობლების უზრუნველყოფა მომსახურებათა მრავალფეროვანი სპექტრით, დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე მათი ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებისა და ღირსების შენარჩუნების მიზნით.

შუალედური მიზანი: ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვილების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მათი ინტერესების დაცვა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში.

მოკლე მიმოხილვა და მიზნის დასაბუთება

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის წარმატებულად მიმდინარეობას ადასტურებს, საქართველოში ბავშვთა სახლებისა და მათში მაცხოვრებელი ბავშვების რადიკალური შემცირება, ასევე ალტერნატიული ზრუნვის ფორმების მრავალფეროვნებისა და რაოდენობის ზრდა, რეინტერგრაციის მაჩვენებლის ზრდა, და მთლიანობაში ამ პროცესების სახელმწიფო დაცვის სისტემაში ინტეგრირება.

ამ წარმატების ფონზე განსაკუთრებით მწვავე ხდება შეზღუდულ პირთა ინსტიტუციონალიზაციის საკითხი, აშკარაა რომ მიტოვება ჩვილის შეზღუდული შესაძლებლობების გამო კვლავ სახეზეა, ისევე როგორც ორი საშუალო ზომის სამზრუნველო დაწესებულება, ასევე ლიმიტირებულია ზრდასრული პირებისათვის საცხოვრისის დასაქმების და ზრუნვის შესაძლებლობები. ამის გამო რეფორმის დღევანდელ ფაზაზე განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევი თუ რა შესაძლებლობები, დახმარება და მომსახურება შეიძლება შეთავაზებულ იქნას ბავშვის გაჩენის მომენტიდან მისი ცხოვრების ბოლომდე.

სახეზეა, ზოგიერთი ტიპის მომსახურება და დახმარება, თუმცა იგი მწირია და ცოტა რაოდენობის ადამიანისათვის ხელმისაწვდომი.

ჩვილ ბავშვთა სახლი

ბავშვთა სამოქმედო გეგმაში ჩვილ ბავშვთა სახლის დაკეტვის უზრუნველყოფა წარმატებული ნაბიჯი იყო, თუმცა ცალსახაა, რომ ამ მიზნის მიღწევის გზაზე ყველაზე დაუცველი და დიდი რისკის წინაშე სწორედ შეზღუდული შესაძლებლობებისა და მძიმე ჯანმრთელობის მქონე ბავშვების აღმოჩნდნენ.

დღევანდელი მონაცემით ჩვილ ბავშვთა სახლში ჯანმრთელი ჩვილების შედინება პრაქტიკულად შეკავებულია, რასაც ძალიან ეფექტურად უზრუნველყოფს გადაუდებელი მინდობით აღზრდის სამსახური.

ამასთან სახეზეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მიტოვება ჩვილ ბავშვთა სახლში. ამჟამად უხეში შეფასებით, იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სამი ჯგუფი.

პირველი ჯგუფი - ბავშვები, რომელთა განთავსება შესაძლებელია ჯანმრთელი ბავშვებისათვის ეფექტურად მომუშავე მომსახურებაში, ანუ გადაუდებელი მინდობით აღზრდა, გრძელვადიანი მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი (ამ მომსახურების განვითარება ქვეყანაში ჯერ კიდევ კითხვის ქვეშ დგას). ამასთან აუცილებელი და მოსაგვარებელი ხდება, ბავშვების სტატუსის საკითხი, რომელიც განსაზღვრავს მინდობით აღზრდის ანაზღაურებას და ასევე სისტემაში უკვე არსებული სხვა ბენეფიტების უზრუნველყოფა. მაგ. დაზღვევა, სამედიცინო და სარეაბილიტაციო პროგრამები, დღის ცენტრი.

მეორე ჯგუფი - ბავშვები, რომელთა შეზღუდულობის სიმძიმე და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს ინტენსიურ და სპეციალიზირებულ ზრუნვას. ამ კონკრეტული ბავშვებისათვის დღეს არ არსებობს მომსახურება.

მესამე ჯგუფი - ბავშვები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდულია. ამ ჯგუფისათვის აუცილებელია პალიატიური ზრუნვა, აქ იკვეთება ორი შესაძლებლობა პალიატიურ ჰოსპისური მომსახურების განვითარების შემთხვევაში ამ ბავშვები უზრუნველყოფა მომსახურებით.

ჩვილ ბავშვთა სახლის ალტერნატივა, ინტენსიური ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვებისათვის (მეორე ჯგუფი)

სადღეისოთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინტენსიურ ზრუნვას საჭიროებს ოცდაათამდე (30) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვი. სახეზე ამ ბავშვების ჩვილ ბავშვთა სახლი ჩარჩენის და ამ დაწესებულების ზომის ზრდის რისკი, სხვა ალტერნატივების არ არსებობის გამო.

სპეციალიზირებული ინტენსიური ზრუნვის მოდელი, ეგრედ წოდებული “nursery care“.

მსოფლიოში არსებული, ჩვენთვის ცნობილი პრაქტიკა განიხილავს ორ ვარიანტს 1) მცირე საოჯახო ტიპის მომსახურება; 2) მინდობით აღზრდა.

1. მცირე საოჯახო ტიპის მომსახურება - წააგავს სტანდარტულ მცირე საოჯახო სახლის მოწყობას, თუმცა ბავშვების რაოდენობა ლიმიტირებულია, ხოლო მზრუნველების კი გაზრდილი. გარდა ამისა ფიზიკური გარემოს ადაპტაცია აყვანილია მაღალ ხარისხში და მოიცავს ძვირად ღირებულ და მაღალი პროფესიონალიზმით უზრუნველყოფილ გარემოს. მაგალითისათვის, აბაზანები უზრუნველყოფილია ამწეებით, სახლი უზრუნველყოფილია თერაპიული დამამშვიდებელი ოთახით(სენსორული), კედლები დარბილებულია, შესაძლებელია დამონტაჟებული იქნას კამერები, ასევე მომსახურებაში არის სპეციალური სამედიცინო დამხმარე აპარატურა.

ძირითადი მახასიათებლები: ძვირად ღირებული მომსახურება, საჭიროებს მაღალ კვალიფიციულ მომსახურე პერსონალს, პროფესიონალების ჩართულობას.

2) მინდობით აღმზრდელი ოჯახი ან პირი, რომელსაც პროფესიონალური განათლება აქვს და არის მაღალი კვალიფიკაციის ექთანი, შეუძლია იზრუნოს ასეთ ბავშვზე.

ძირითადი მახასიათებელი: პროფესიონალი ექთანი, რომელმაც იცის დავადებათა მართვა.

შესაძლო ალტერნატიული მოდელი , რომელიც შემუშავდება დასავლეთში არსებულ ალტერნატივებზე დაყრდნობით, მაგრამ გაითვალისწინებს ადგილობრივ თავისებურებებს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლოა ორი ურთიერთ შემავსებელი მოდელის განვითარება 1) მცირე საოჯახო სახლი 3-6 წლის ბავშვებისათვის, 6 ბავშვისათვის 2) ბინაში განთავსებული მომსახურება 0-3 წლამდე, 3 ბავშვისათვის.

სისტემის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა 3 საოჯახო სახლი და 4 ბინა რაც დააკმაყოფილებს 30 ბავშვის საწოლ ადგილს

მოდელის ილუსტრაცია:

- ✓ შეძენილია და ადაპტირებული ბინები ან/და აშენებულია მცირე საოჯახო სახლები
- ✓ მომსახურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დიდ ქალაქებში სამედიცინო დაწესებულებების სიახლოვეში, რაც ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობით არის განპირობებული
- ✓ ფიზიკური გარემოს მართვას სახელმწიფო დაკვეთით ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია
- ✓ მომვლელები არიან კვალიფიციური ექთნები ან მსგავსი ზრუნვის გამოცდილების ადამიანები, მათი მომზადება ხორციელდება პროფესიონალი არასამთავრობოს მიერ
- ✓ ბავშვებს მოემსახურება მულტიდისციპლინალური გუნდა პედიატრის, ოკუპაციური თერაპევტი, ნევროლოგი და აშ. ერთი გუნდი იმუშავებს ყველა მომსახურებაზე, ჯამში 30 ბავშვზე

ხარჯების ტიპები:

მოცემული მომსახურების განსავითარებლად საქმე გვაქვს სამი კატეგორიის ხარჯთან:

1) საინვესტიციო; 2) მიმდინარე ;3) მულტი გუნდის მომსახურება

დანართი 3

	მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბიუჯეტი		
#	საოპერაციო ხარჯი	3 ბავშვიანი მოდელისათვის დღეში 1 ბავშვის თანხა ლარებში	6 ბავშვიანი მოდელისათვის დღეში 1 ბავშვის თანხა ლარებში
1	საკვები	5.00	5.00
2	მედიკამენტები (მათ შორის ანტიკონვულსანტები, ტრანკვილიზატორები, საინფუზიო გადასასხმელი ხსნარები, პოლივიტამინები, ანტისეპტიკური საშუალებები და ა.შ.)	3.33	3.33
3	სამედიცინო სახარჯი მასალა (გადასხმის სისტემები, შპრიცები-ნემსები, შესახვევი მასალა, ხელთათმანი, ნიღაბი, საკვები ზონდი, ნაზოგასტრალური ზონდი, ტრანქელოსტომის კანულა, შარდის ბუშტის კათეტერი, ასპირაციული ამომქაჩი კათეტერი, ლეიკოპლასტერი და ა. შ.)	5.00	5.00
4	ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევები (რომელსაც დაზღვევა ვერ ფარავს)	1.67	1.67
5	სამედიცინო აპარატურა და საგნები - ფიქსირებული ხარჯი (წნევის აპარატი, ფონენდოსკოპი, ინგალატორი, ექსუდატის ამომქაჩი აპარატი, პინცეტი, სამ. მმაკრატელი და ა.შ.)	0.56	0.56
6	ტანსაცმელი, თეთრეული	0.80	0.80
7	ჰიგიენური ნივთები (პირადი და გარემოს ჰიგიენისათვის)	2.00	2.00
8	განმავითარებელი, ადაპტური საგნები	1.00	1.00
9	გამაჯანსაღებელი, სპორტული, სოციალური ინტეგრაციის აქტივობების ხარჯი	0.50	0.50
10	განათლებისათვის საჭირო ხარჯი ****	0.00	0.00
11	კომუნალური	2.78	2.50
12	კომუნიკაცია, ინტერნეტი	0.30	0.30
13	საოჯახო საგნები	0.20	0.20
14	ტრანსპორტორება ****	2.00	2.00
15	სხვადასხვა	0.30	0.30
შრომის ანაზღაურება			
1	აღმზრდელი 5 - 6 საშტატო ერთ.	24.31	14.58
2	მენეჯერი 1 საშტატო ერთ.	2.78	1.85
3	რეზერვი აღმზრდელი 1 საშტატო ერთ. (8 თვე მუშაობს წელიწადში)	1.62	1.62
4	მულტიდისციპლინური გუნდი ****	6.00	6.00
		60.14	49.21